სტუ ბიზნესტექნოლოგიების ფაკულტეტის საჯარო მმართველობის პრობლემათა კვლევების ინსტიტუტი

ერთწლიანი ანგარიში
2018 წ ივნისი

დაფუძნება

ინსტიტუტი დაფუძნდა 2017 წლის აგვისტოში, როგორც სტუ ბიზნესტექნოლოგიების ფაკულტეტის სამეცნიერო კვლევითი ერთეული. სადამფუძნებლო დოკუმენტებით განისაზღვრა კვლევითი მიმართულებები:

- ✓ ინოვაციური სახელმწიფო სერვისები. ტექნოლოგიების მართვა და მათი დანერგვის ხელშეწყობა;
- ✓ ელექტრონული მმართველობის პოლიტიკის იმპლემენტაციის ;
- ✓ საჯარო და კერძო სექტორის პარტნიორობის მოდელები (PPP) –პოლიტიკურ-სამართლებრივი გარემო.

დაფუძნების მიზანია დარგთაშორისი კვლევების განვითარების პერსპექტივების გათვალისწინებით, კვლევებში სტუდენტების ჩართვა, პრაქტიკული აქტივობების განხორციელება სამეცნიერო-კვლევითი და სასწავლო პროცესის ინტეგრაციის, სტუდენტის მიერ საკუთარი მომავლის დაგეგმვის ხელშეწყობისათვის.

მისიაა

ინსტიტუტის მისიას გამოყენებითი დარგთაშორისი კვლევითი საქმიანობის გაძლიერებით კონკურენტუნარიანი უპირატესობების მიღწევა, აგრეთვე აკადემიური თავისუფლების ფარგლებში ინოვაციური პროექტების ორგანიზება და თანამედროვე კულტურის მქონე საჯარო მმართველობის სპეციალისტთა მომზადების ხელშეწყობა წარმოადგენს.

სტრუქტურა:

ინსტიტუტს ხელმძღვანელობს დირექტორი, ჰყავს კვლევითი პროგრამების ხარისხის მაკონტროლებელი ორგანო – რეფერირების საბჭო, შემდეგი შემადგენლობით: **ვილჰელმ ჰაუზერი** – პროფესორი (გერმანია); **ქეთევან ჰაგერი** – სამართლის დოქტორი (გერმანია); **მიხაელ როიტერი** (ავსტრია); **თამაზ მარსაგიშვილი** – ფ/მ დოქტორი;. **გივი ქოჩორაძე** – ევროკომისიის საკონტაქტო პირი საქართველოში;**გენადი იაშვილი** – პროფესორი;' **შოთა დოღონაძე** – პროფესორი

2018 წლის მაისში შედგა რეფერირების საბჭოს სხდომა, რომელზეც მოსმენილი იქნა ინსტიტუტის განვითარების გეგმა. წევრებმა მოიწონეს ინსტიტუტის მიერ შერჩეული პრიორიტეტები და ინოვაციური ხასიათის აქტივობები, რომლებიც ხელს შეუწყობენ საგანმანათლებლო პროცესში პრაქტიკული უნარჩვევების გამომუშავებას. მიხაელ როიტერმა და ვილჰემ ჰაუზერმა განაცხადეს, რომ თავიანთ ძალისხმევას გამოიყენებენ გერმანიასა და ავსტრიაში სტუდენტური პრაქტიკის ორგანიზებისათვის, კერძო და საჯარო პარტნიორობის მოდელების გასაცნობად.

ამ ეტაპზე ინსტიტუს ჰყავს ორი თანამშრომელი: საჯარო მმართველობის პროგრამის დოქტორანტები; ეკატერინა ზაქარაძე და ლევან სისვაძე (ვადიანი ხელშეკრულების საფუძველზე დანიშნულნი არიან პროექტის ასისტენტის თანამდებობაზე)

ფაკულტეტის საბჭოს მიერ 2017 წლის დეკემბერში დამტკიცდა ინსტიტუტის კვლევითი პროგრამა: "ტექნოლოგიების და ინოვაციების მართვის პრობლემები საქართველოში". რომელშიც თემატური მიმართულებები მიხედვით ჩართულები არიან დოქტორანტები: ნანა რუსაძე, ეკატერინა ზაქარაძე, ქეთევან ცაცანაშვილი; მაგისტრანტები: მარიამ ლომიძე, ნოდარ ქარენაშვილი, ხატია ბენიძე.

2018 წლის სექტემბრიდან იგეგმება კიდევ ორი დოქტორანტისა და სამი მაგისტრანტის ჩართვა კვლევით პროგრამაში. საკოლოკვიუმო და სასემინარო ნაშრომების მიხედვით მიმდინარეობს დოქტორანტთა შერჩევა ინსტიტუტის კვლევით თემაში ჩართვის მიზნით.

კვლევითი პროგრამის კვარტალური გეგმის შესაბამისად 2018 წლის იანვიდან დღემდე განხორციელდა შემდეგი ღონისძიებები:

საერთაშორისო კონფერენციები

1. 2018 წ. მაისი – ინფორმაციული კომუნიკაციები ციფრულ ეპოქაში: ღია და უხილავი ზემოქმედება (იუნესკოს ეგიდით ხანტი–მანსიისკში გამართული ღონისძიება.) ორგანიზატორი – იუნესკო; გამოსვლის თემა: Homo informaticus და ინფორმაციული უსაფრთხოების პრობლემები საქართველოში; მარიამ ცაცანაშვილთან ერთად მონაწილეობდა დოქტორანტი ეკატერინა ზქარაძე,
2. 2018 წ. ივნისი – ინტელექტუალური საკუთრება და განათლება ორგანიზატორი – ინტელექტუალური საკუთრების მსოფლიო ორგანიზაცია (Wipo) და "საქპატენტი". მარიამ ცაცანაშვილთან ერთად მონაწილეობდნენ საჯარო მმართველობის პროგრამის სტუდენტები (ინსტიტუტის სტაჟიორები) – ვიკა მოწყობილი, თათია ნაჭყებია;

მრგვალი მაგიდა

1. 2018 წ. მარტი – სატრანსპორტო დერეფნისა და ლოჯისტიკის სახელმწიფო მართვის ინოვაციური მეთოდები – ეკატერინა ზაქარაძე;
2. 2018 წ. მარტი –საჯარო მმართველობის ინდექსი, თვითმმართველი ერთეულის მართვის ტექნოლოგია; – ნანა რუსაძე;

თემატურური სემინარი:

პერსონალურ მონაცემთა დაცვის პოლიტიკის პრობლემები საქართველოში ორგანიზება და კვლევა: მარიამ ლომიძე – საჯარო მმართველობის პროგრამის მაგისტრანტი;

ესწრებოდა საქართველოს პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორის აპარატის წარმომადგენელი, რომელმაც თემატურ სემინარზე გამოთქმული რეკომენდაციების მიხედვით დაინახა ინსტიტუტსა და აპარატს შორის შემდგომი პრაქტიკული საქმიანობის გაგრძელების პერსპექტივა.

საჯარო ლექციები

1. 2018 წლის იანვარი – **"ინფორმაციული ომები და კიბერუსაფრთხოების პრობლემები". – მარიამ ცაცანაშვილი** –საჯარო ლექციის შემდეგ სტუდენტები ჩაერთვნენ ინსტიტუტის მიერ დაგეგმილ პრაქტიკული დოკუმენტის მომზადებაში – ინტერნეტში არასრულწლოვანთა უსაფრთხოების სტრატეგია. დოკუმენტის შემადგენელ ელემენტებად განისაზღვრა: *სახელმწიფო პოლიტიკის ძირითადი მიმართულებების, ამოცანებისა და პრინციპები, ინფორმაციის ინტერნეტში გავრცელებასთან დაკავშირებული საფრთხეები არასრულწლოვნებისათვის და ინფორმაციული უზრუნველყოფის მექანიზმები ინფორმაციული და სატელეკომუნიკაციო ტექნოლოგიების ინტეგრაციის პირობებში. ძირითადი საფრთხეები:* არასასურველი კონტაქტები (რომელთაც შეიძლება მოჰყვეს სექსუალური ძალადობა); კიბერბულინგი (შეურაცხყოფა, აგრესიული თავდასხმები და სხვა); ე.წ. "სახიფათო მასალები (პორნოგრაფია, ექსტრემისტული/ან სექსუალური ძალადობის ამსახველი ვიდეორგოლი) და სხვ; *ინტერნეტდამოკიდებულება ანუ ადიკცია (ლათ.: addiction) და არასრულწლოვანთა ინტერნეტსოციალიზაციის პროცესი:; კიბერეკოლოგია, ინტერნეტკულტურის, ესთეტიკური განათლებისა და აღზდის საკითხები, ფსიქოლოგიური უსაფრთხოების მექანიზმები, ინტერნეტის ტექნიკური დაცვა და სტანდარტიზაცია. ორგანიზაციულ-სტრუქრუქტურული ღონისძიებები: ა)* ბავშვთა ომბუცმენი; *ბ)* ინფორმაციული უსაფრთხოების აუდიტი,

2. **2018 წლის აპრილი – კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ტექნოლოგიები ცენტრალური კოლხეთის ნოქალაქევისა და ციხეგოჯის მაგალითზე**
(მოწვეულნი იყვნენ: მეთიუს პალმერი – ვინჩესტერის უნივერსიტეტის მკვლევარი კოლხეთის მონაკვეთზე; დავით ლომიტაშვილი (პროფესორი, ვინჩესტერის უნივერსიტეტი, დიდი ბრიტანეთი) ; ნიკოლოზ მურღულია=ნოქალაქევის ექსპედიციის მონაწილე, მკვლევარი; ნინო ქებურაძე,

– საქართველოს ეროვნული მუზეუმის კვლევითი ლაბორატორიის ხელმძღვანელი; დალი აბაშიძე – კულტურულიმემკვიდრეობის სააგენტოს კახეთის მიმართულების კოორდინატორი.
ისაუბრეს არქეოლოგიაში სახელმწიფო მართვის პრობლემებზე და დაძლევის გზებზე.

კულტურული ღონისძიება

საჯარო მმართველობის პროგრამის სტუდენტებმა მონაწილეობა მიიღეს კულტურის სამინისტროს მიერ **კულტურის დღეებთან** ორგანიზებულ ღონისძიებაში

მირზაანში – „ღამე ნიკალას მუზეუმში“ – გამართულ სტუდენტურ შეხვედრებზე საჯარო მმართველობის პროგრამის სტუდენტთა მიერ შემუშავდა სტუდენტური დეკლარაცია – იუნესკოს ეგიდით მირზაანში ხელოვნების საერთასორისო ცენტრის დაარსების შესახებ. ტექსტის პრეზენტაციისა და ხელმოწერათა ორგანიზების შემდეგ დეკლარაცია კულტურის სამინისტროს გადაეცა შემდგომი ნაბიჯების რეალიზაციისათვის.

გაცნობთი ვიზიტები:

2018 წლის თებერვალში არაორგამული ქიმიისა და ელექტროქიმიის ინსტიტუტში საჯარო მმართველობის პროგრამის მე–4 კურსელთა ვიზიტი განხორციელდა, რომლის მიზანი იყო ტექნოლოგიების გაცნობა, ინსტიტუტის მიერ წარმოებულ ტექნოლოგიურ პროცესზე დაკვირვება, ტექნოლოგიების დანერგვის პროცესში არსებული მმართველობითი პრობლემების იდენტიფიცირება. ინსტიტუტის ადმინისტრაციასა და მკვლევერებთან ერთად სტუდენტები გაეცვნენ კერძო და საჯარო პარტნიორობის წარმატებულ მაგალითს.

კრაუდსორსინგის კლინიკა

2018 წ. ივნისში მუშაობა დაიწყო კრაუდსორსინგის (Crowdsoursing) კლინიკამ, რომლის მიზანია საზოგადოებრივად მნიშვნელოვანი პრობლემების გადასაწყვეტად საჯარო მმართველობის სტუდენტებსა და სახელმწიფო დაწესებულებების წარმომადგენლებს შორის პრაქტიკული კონსულტირება;

ინტელექტუალური საკუთრების დაცვით მიღებული სარგებელის შესახებ საქართველ ოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრ - ,,საქპატენტი“ს თავმდომარე– **ნიკოლოზ გოგილიძე**სთან ერთად გაიმართა კონსულტაციები პრიორიტეტული მიმართულებების გამოკვეთის თაობაზე, რომლის დაფინანსებით სახელმწიფომ შესაძლებელია ეკონომიკურ წარმატებას მიაღწიოს. სტუდენტებმა ამ მიმართულებით

სექტემბრის ბოლომდე საკუთარი პროექტები უნდა წარმოადგინონ, რომლის შემდეგ იგეგმება კონსულტაციათა ახალი რაუნდი.

თემატური სპარინგი –

სპარინგის იდეა შემუშავებულია ინსტიტუტში, რომელიც გულისხმობს ტექნოლოგიური ინოვაციებისა და საუკეთესო პრაქტიკის მაგალითების დანერგვისათვის შექმნილი პროექტების შეჯიბრს. სპარინგის მიზანია პრობლემის გადაწყვეთისათვის მმართველოობითი ხასიათის ფსიქოლოგიური და ტაქტიკური ჩვევების გაღრმავება, მოდელების შექმნაში კოორდინაციისა და თანამშრომლობის ამაღლება, ცოდნის ინტეგრირებისა და ტექნოლოგიების მართვასთან დაკავშირებული უნარების გამომუშავება.

ამ ეტაპზე მოსამზადებელი სამუშაოები მიმდინარეობს თემატური სპარინგის ჩასატარებლად. თემაა: ახალი ტექნოლოგიების გამოყენებით ქალაქის ეკოსისტემის გადაწყვეტისათვის შექმნილი ინოვაციური პროექტების შეჯიბრი.

შეთავაზებულია თემატიკა, მიმდინარეობს პროექტების მომზადება, ქალაქის მერიასთან მოლაპარაკებები ღონისძიების ჩატარებისა და თანამშრომლობისათვის.

ინსტიტუტის სტრატეგიული განვითარების სცენარი 2021 წლამდე:

- კერძო სექტორს და განათლების სისტემას შორის კავშირების გაღრმავება, კორპორაციების შექმნა;
- ახალ დარგთაშორის კვლევებზე პოზიციონირება;
- ინოვაციების მართვის სფეროში კომერციული პოტენციალის მქონე ინტელექტუალური საქმიანობის შედეგებზე ორიენტაცია;
- სტუდენტისა და მკვლევარის პარტნიორობის პრინციპის გაღრმავება;
- კვლევების განხორციელება საქართველოს საჯარო მმართველობის მოდერნიზაციის მიმართულებით;
- ინსტიტუტის მართვის სრულყოფა: კვლევითი ერთეულების განვითარება "ფუტკრის პრინციპით" (დოქტორანტებისა და პოსტდოქტორანტების მოწვევა კონკრეტული სამეცნიერო-კვლევითი პროექტის განსახორციელებლად), საპროექტო მენეჯერების სისტემის განვითარება ინსტიტუტის სტრატეგიული განვითარებისათვის დამატებითი ფინანსური სახსრების მოზიდვისა და მხარდაჭერის უზრუნველსაყოფად;

- სოციალურ–ჰუმანიტარული ცოდნის განვითარება ტექნოლოგიების დანერგვის საქმეში.

ანგარიში მომზადებულია:

მარიამ ცაცანაშვილი – ინსტიტუტის დირექტორი

ლევან სისვაძე, ეკატერინა ზაქარაძე – ასისტენტები